

ტელემედიცინის, როგორც ჯანმრთელობის დაცვის
სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის
მექანიზმის ეფექტიანობის შეფასება
საქართველოში, სოფლად.

მაგისტრანტი:

დავით მაისურაძე



*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე, ბიზნესის
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის
შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ქეთევან გოგინაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2025 წელი

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების დაცვით“

მაგისტრი: დავით მაისურაძე

2025 წელი

აბსტრაქტი

ტელემედიცინა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წამყვანი ინსტრუმენტია ჯანდაცვის სერვისებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობის აღმოსაფხვრელად. ამ ტექნოლოგიურ ინოვაციას არც საქართველო ჩამორჩა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველო გამოირჩევა მთა-გორიანი რეგიონებითა და ცვალებადი კლიმატური სარტყელით, რაც ხშირ შემთხვევაში ქმნის გადაადგილების პრობლემას, ქვეყანაში, სოფლის მრავალ ამბულატორიაში განთავსდა ტელემედიცინის აპარატურა. ამასთან, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს ტელემედიცინის სერვისის გაფართოება და განვითარება.

ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს რეგიონებში ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობის აღმოფხვრის კუთხით ტელემედიცინის მუშაობის ეფექტიანობის შეფასება.

კვლევის მიზნის მისაღწევად შეირჩა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, ონლაინ კითხვარების მეშვეობით. საკვლევი საკითხის ყოველმხრივ შეფასების მიზნით, რესპოდენტები გაყოფილ იქნა სამ ჯგუფად: პაციენტები, ადგილზე დასაქმებული პერსონალი (სოფლის ექიმი, ექთანი) და ექიმ-სპეციალისტები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტელემედიცინის სერვისით კმაყოფილია მოსახლეობის უმრავლესობა, რასაც ადასტურებს რესპოდენტთა სამივე ჯგუფი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პაციენტთა უმრავლესობა გადამისამართდა დამატებით კვლევებზე, რაც პირდაპირ მიანიშნებს ტელემედიცინის, როგორც საწყისი დიაგნოსტიკური რგოლის, წარმატებულ გამოყენებაზე, რაც ესადაგება პირველადი ჯანმრელობის დაცვის სისტემის მთავარ პრინციპს: შეასრულოს მეკარიბჭის როლი ჯანდაცვის სისტემისთვის.

თუმცა, კვლევის შედეგად ისახება რამდენიმე პრობლემატური მიმართულება, როგორებიცაა: პროცესის ტექნიკური ხარვეზები და ადგილზე დასაქმებული პერსონალის გადამზადების საჭიროება, რათა ეფექტიანად გამოიყენონ აპარატურა. ყოველივე ზემოაღნიშნული საჭიროებს დამატებითი რესურსების მოზილიზებას, რათა გაიზარდოს ტელემედიცინის ეფექტიანობა და ნდობა მოსახლეობის მხრიდან. კვლევის შედეგების გაცნობა, შესაძლებლობას მისცემს პოლიტიკის შემქმნელებსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტებს მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები არსებული პრობლემების საფუძველზე.

Abstract

Telemedicine is a leading tool in many countries worldwide for addressing unequal access to healthcare services. Georgia has also embraced this technological innovation, taking into account its mountainous terrain and diverse climatic zones, which often create challenges in transportation and accessibility. In response, telemedicine equipment has been installed in numerous rural outpatient clinics across the country. Moreover, the service is continuously being expanded and developed.

The aim of this research is to assess the effectiveness of telemedicine in reducing disparities in access to quality healthcare services across various regions of Georgia. For this goal to be achieved, it is essential that telemedicine services function reliably and efficiently, helping to raise public awareness and build trust in the technology. Accordingly, the study examined the extent to which telemedicine has improved healthcare access for residents in different regions.

A quantitative research method was employed, utilizing online questionnaires. To ensure a comprehensive assessment, respondents were divided into three groups: patients, local healthcare personnel (village doctors and nurses), and medical specialists.

The study revealed that the majority of respondents across all three groups are satisfied with the telemedicine service. It also found that most patients were referred for further diagnostic tests, which indicates the successful use of telemedicine as an initial diagnostic tool. This aligns with a fundamental principle of primary healthcare—acting as a gatekeeper for the broader healthcare system.

However, the research also highlighted several challenges, including technical issues and the need for additional training of local healthcare staff to use the equipment effectively. These findings underscore the need for further resource mobilization to enhance the effectiveness of telemedicine and increase public trust in the service. The findings of this study can inform policymakers and public health professionals, enabling them to make evidence-based decisions grounded in current challenges.